F75JVF2434

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲗᲐ!

პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 201 (11205) | კვირა, 31 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველწლიურად მზარდი მოთხოვნილება ქვანახშირზე!

მეშახტეთა დღესასწაული

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს სახელოვანი საბჭოთა მეშახტეების დღესასწაულს — მეშახტის დღეს, როდესაც ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა შრომითი მიღწევებს დათვალიერების ტრადიციულად გადაიქცა.

მეშახტეთა ზეიმს შრომაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები. წელს შვიდ თვეში ჩვენ რესპუბლიკის შახტებში ამოღებულ იქნა 2,2 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე შარშან იგივე პერიოდში.

საწარმოო გეგმების შესრულებაში წარმატებებს მიაღწიეს ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ალიონის სახელობის № 3 და №4 შახტებმა, ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სტალინის, ორჯონიკიძის სახელობისა და გელათის შახტებმა და ახალციხის საბადოს № 2-„ბის“ შახტმა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი მეშახტე და ქვანახშირის ამოღების საქმის მეტერი დაწინაურდა. საუკეთესო წარმოო მაჩვენებლებისათვის, მეშახტის დღესასწაულთან დაკავშირებით, ნიშნით — „მეშახტის დიდება“ დაჯილდოვდნენ ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ გელათის შახტის უფროსი ნ. ციცხვაია, ორჯონიკიძის სახელობის შახტის უბნის უფროსი დ. ტუკვაძე, მბურღველები ფ. ნესტორენკო, ს. სოფრომაძე; ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მეშახტეები ა. ბაცია, ტ. ვეშენკო, ა. კობაიძე და ა. ყურავლიოვი; ახალციხის შახტმართველოს მეშახტეები მ. ბარატურიანი, ს. ხუციშვილი და შახტმშენებლები გ. გაბრიაძე, ა. ბინეევი და ი. გორელიკოვი.

მაგრამ, წარმატებების მიუხედავად, საქართველოს მეშახტეები ჯერ კიდევ ვალში არიან საშობაოს წინაშე. საქართველოში მოპოვებული შახტებიდან ყველა როდი სრულებს სახელმწიფო გეგმებს. ბევრ შახტაცია მრავალრიცხოვან არეულში არიან ჩამორჩენილებიც, ზოგიერთ მათგანს ვერ უსწორებენ მოწინავეთა რიგებს, ვერ ამჩნევენ საჭირო უნარსა და მონდომებას ქვანახშირის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ შვიდი თვის გეგმა 99,4 პროცენტით შეასრულა და ჩვენ ქვეყნის სახალხო მეურნეობას 12 ათას ტონამდე ქვანახშირი დააკლო.

ჩამორჩენის მიზეზებში მთავარი ის არის, რომ მეშახტეები სრულად ვერ ავლენენ და იყენებენ ქვანახშირის მოპოვების მდიდარ რეზერვებს. ზოგიერთ შახტში არადამაკმაყოფილებელია წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, ზოგჯერ შახტები უზრუნველყოფილი არ არიან წმენდითი სანგრევის საჭირო ხაზით, არის ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზებით გამოწვეული გაცდენები.

საქართველოს შახტების უმეტესობა აღჭურვილია უახლესი ტიპის მოწყობილობით, მანქანებით და მექანიზმებით, მძლავრი საყელავი, ქანისა და ნახშირის დასატვირთავი მანქანებით, კონვეიერებით, საშახტო ელმავლებით, საბურღი და მომნგრევი ჩაქუჩებით და სხვ. მიმდინარეობს მუშაობა მთელი რიგი მანქანების და მექანიზმების დისტანციურ და ავტომატურ მართვაზე გადასაყვანად. დღეისათვის დისტანციურ მართვაზე გადაყვანილია 5 საყელავი მანქანა, 48 კონვეიერი, 15 ჯალამბარი; ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სტალინის სახელობის და ახალციხის № 2-„ბის“ შახტებში ავტომატიზებულია მთავარი განიავების ვენტილატორთა მართვა. მაგრამ ყველა შახტსა და უბანში როდი იჩენენ საჭირო ყურადღებას სამუშაოთა მექანიზაციის და ავტომატიზაციის დიდად მნიშვნელოვანი საკითხებისადმი. ცალკეული შახტები და უბნები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან მანქანებითა და მექანიზმებით. „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ლენინის სახელობის შახტში სერიოზული სიძნელეები წარმოიშვა იმის გამო, რომ ტრესტის და შახტის ხელმძღვანელებმა თავის დროზე არ იზრუნეს საენტილაციო მეურნეობის მოგვარებისათვის, ახალი ვენტილატორის მშენებლობისათვის. ამავე შახტის საკარიერო მეურნეობა, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული შახტში ჰიდრავლიკური ვსების პროგრესული მეთოდით მუშაობის წარმატება, დიდი ხნის მანძილზე ვერ ასრულებდა დავალებებს, რადგან მეურნეობაში არ ზრუნავდნენ მოძველებული, თითქმის მწყობრიდან გამოსული ტექნიკის შეცვლისათვის.

საქართველოს საბადოებში ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ არსებული სამთო მანქანებისა და მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, საწარმოო პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ წარმატება დამოკიდებულია საქმის სწორ ორგანიზაციაზე, შრომის და საწარმოო დისციპლინის დონეზე, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაზე და ქმედითობაზე.

ქვანახშირზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველწლიურად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საქართველოში ამჟამად შენდება ახალი შახტები. შახტმშენებლები მოწოდებული არიან არ დაუშვან მშენებლობათა შეფერხება, თავდადებით იშრომონ ახალი შახტების საექსპლოატაციოდ ვადამდე გადასაცემად.

უახლოეს ხანში რესპუბლიკის შახტებში შემოღებულ იქნება შემცირებული სამუშაო დღე. ამავე დროს წელიწადში 50 მილიონი მანეთით გაიზრდება მეშახტეთა ხელფასი. შემცირებული სამუშაო დღის შემოღება მოითხოვს სერიოზულ ორგანიზაციულ - ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას.

საბჭოთა მეშახტეებს შექმნილი აქვთ ცხოვრებისა და შრომის შესანიშნავი პირობები. სახე იცვალეს საქართველოს მეშახტეთა ქალაქებმა და დაბებმა. მათ ამშვენებთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები. მარტო წელს რესპუბლიკის მეშახტეები მიიღებენ 21 ათასამდე კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. ტყვარჩელში გაიხსნება კულტურის სახლი, რომლის მაყურებელთა დარბაზში 750 ადგილია. ახალ კლუბს მიიღებს ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი. ყველგან გაჩაღებულია ახალმშენებლობანი. 52 მილიონი მანეთი დაიხარჯება წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის საქართველოს ქვანახშირის რაიონებში.

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს მეშახტეები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, კვლავაც ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას, არ დაიშურებენ ძალსა და ენერგიას ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ᲗᲕᲐᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ხვალ ფართოდ გაიღება რესპუბლიკის 4.211 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის კარები, აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი სკოლის ზარები და ასეულათასობით ბავშვი სიხარულისაგან გულაძგერებული მიუჯდება მერხებს. კვლავ ახალი ძალით შეიჭრება სიცოცხლე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში — აუდიტორიებში დაიწყება მეცადინეობა. საზაფხულო არდადეგების პერიოდში დასვენებული, მზით, ლაღი ჰაერით, წყლით, ტურისტული ლაშქრობებით და ექსკურსიებით, სპარტაკიადებით, სპორტული შეჯიბრებებით გაკაჟებული ახალგაზრდობა უბრუნდება მშობლიურ სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს. მაგრამ მარტო დასვენებით კი არა, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომითაც გაიკაჟეს მათ სხეული, თანასობით ახალგაზრდამ ისახელა თავი ყამირი მიწების უხვი მოსავლის აღების სამუშაოებზე, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე. არდადეგების პერიოდში არა მარტო კარგად დაისვენეს, არამედ თავის თავზე საფუძვლიანად იმუშავეს, ცოდნა გაიღრმავეს პედაგოგ-მასწავლებლებმა, ბევრმა მათგანმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ახლა ისინი ახალი ენერგიით და გაღრმავებული ცოდნით შეუდგებიან საპატიო საქმეს — მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, ცოდნით მათი შეიარაღების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

საბჭოთა სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები ახალი ამოცანების წინაშე დგანან. ეს ამოცანები ნაკარნახევია ცხოვრებით — მოვუმზადოთ სამშობლოს ცოდნით შეიარაღებული და შრომაში გამოსადეგი კადრები.

საშუალო სკოლამ, რომელიც პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის ზრუნვით არის გარემოცული და რომელსაც ყველა საჭირო პირობა აქვს შექმნილი, უნდა უზრუნველყოს მოზარდ თაობაში შრომითი ჩვევების გამომუშავება. ამას ემსახურება პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრები, სკოლებში მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები, საცდელი ნაკვეთები, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეფობა და დახმარება. 1958-1959 სასწავლო წელი უნდა იყოს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების ღრმად დამკვიდრების წელი. როგორც საშუალო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ცხოვრებას, პრაქტიკას.

მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში შრომითი ჩვევების გამომუშავება, მათს სწავლებაში თეორიის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება არათუ არ უნდა ჩრდილავდეს სასწავლო პროგრამის ათვისებას, აკადემიურ წარმატებას, არამედ პირიქით — უფრო უნდა აღრმავებდეს მას. ის, რომ მოსწავლეს საშუალო სკოლაშივე უნდა შეეძლოს პროფესიის არჩევა, ნიშნავს: საგნის ღრმა ცოდნას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

თაობას, რომელსაც კომუნისტური მშენებლობის, კომუნიზმის დიადი შენობის დაგვირგვინება აკისრია, ღრმა ცოდნა უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რომ ახალ სასწავლო წელს უკეთ იმუშაონ, — პედაგოგიურ კოლექტივებს, სახალხო განათლების ორგანოებს მართებთ სერიოზულად ჩაუფიქრდნენ მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლების პრობლემებს და საერთო ძალებით წარმატებით გადაწყვიტონ იგი.

მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებს. ეს მათ ავალებს ყოველდღიურად გაიღრმავონ ცოდნა და გაიფართოონ თავიანთი თეორიული მომზადების ჰორიზონტი. ამ საქმეში და საერთოდ სკოლის წინაშე დაყენებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაში უდიდესი როლი აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიამ, მთავრობამ ყველა პირობა შეუქმნეს სკოლებს ახალი სასწავლო წლის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მთელი ხალხი ჩაება სასკოლო მშენებლობაში. ხვალ სწავლა იწყება კეთილმოწყობილ, ნათელ საკლასო ოთახებში, სასწავლო სახელოსნოებით, ნივთებით, ინვენტარით უზრუნველყოფილ სკოლებში.

პარტიისა და ხალხის ეს მზრუნველობა პირნათლად უნდა გაამართლონ სკოლებმა, პედაგოგებმა, მთელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ �პᲐᲡᲣᲮᲘ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, უპასუხა რა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე, განაცხადა, რომ 31 ოქტომბერი საბჭოთა მთავრობისათვის მისაღები თარიღია, რათა დაიწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკება ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ მას მოლაპარაკებისათვის ყველაზე შესაფერის ადგილად მიაჩნია ჟენევა, სადაც ამას წინათ ექსპერტებმა წარმატებით შეიმუშავეს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაკვირვებადი კონტროლის ტექნიკური მეთოდების საკითხი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ამასთან ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი მოლაპარაკების მიზანი უნდა იყოს შეთანხმების დადება იმის შესახებ, რომ ყველა სახელმწიფომ სამუდამოდ შეწყვიტოს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა.

აღნიშნა რა, რომ ექსპერტთა ჟენევის თათბირმა საბოლოოდ დაასამარა ლეგენდა, თითქოს ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაკვირვებადი კონტროლი შეუძლებელი იყოს, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა კმაყოფილებით განაცხადა, რომ თათბირის დასკვნებმა საესებით დაადასტურა, რომ სამართლიანია საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე.

საბჭოთა მთავრობა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ეთანხმება ყველა იმ დასკვნასა და რეკომენდაციას ატომგულის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტისადმი კონტროლის სისტემის შესახებ, რომლებსაც შეიცავს ექსპერტთა ჟენევის თათბირის მოხსენება.

ახლა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, არ შეიძლება იყოს რაიმე გასამართლებელი მიზეზი იმისა, რომ უარი თქვან ატომგულის იარაღის ექსპერიმენტების დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტაზე.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დანანებით აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და ინგლისის მთავრობის განცხადებანი, რომლებიც 22 აგვისტოს გამოქვეყნდა, არ მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები მზად იყვნენ მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ გამოცდა.

გამოცდის დროებით შეჩერებას ერთი წლით, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ლაპარაკობენ, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა, რადგან ეს სწორედ ისეთი პერიოდია, რომელიც საჭიროა ატომგულის იარაღის გამოცდის მორიგი სერიის მოსამზადებლად.

მანკიერი წრე, რომელიც გამოცდის ყველგან შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მოწინააღმდეგეებმა შექმნეს, კვლავ შეიკრა, თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. „ახლა, როცა ყველასთვის ნათელი გახდა, რომ კონტროლის განხორციელება საესებით შესაძლებელია, ვაშინგტონსა და ლონდონში კვლავ აცხადებენ, რომ გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ განიარაღების სხვა საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით“.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები საბჭოთა კავშირის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას აშკარად იყენებენ იმისათვის, რომ მოიპოვონ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობანი.

სსრ კავშირის მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთმა მოქმედებამ ზიანი მიაყენოს საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

„ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხთა ნებას, ათავისუფლებს საბჭოთა კავშირს იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მან ცალმხრივი წესით იკისრა, იმედოვნებდა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები კეთილ ნებას გამოიჩენდნენ ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტის საკითხში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალმა მეცამეტე სესიამ, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თავისი საფუძვლიანი სიტყვა უნდა თქვას იმ საკითხზე, რომ ყველა სახელმწიფომ შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა.

ᲐᲠᲢᲔᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲘ ᲢᲐᲨᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲔᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ

ᲘᲐᲚᲢᲐ (ყირიმის ოლქი), 29 აგვისტო. (საკუთრივ). გუშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ყირიმის სამხრეთ ნაპირზე ისვენებს, ეწვია სანატორიუმ „ქვემო ორეანდას“, სადაც შეხვდა გამოჩენილ ამერიკელ საზოგადო მოღვაწეს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს პოლ რობსონს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად ესაუბრა პოლ რობსონსა და მის მეუღლეს ესლანდა რობსონს.

საღამოს სანატორიუმში მივიდნენ პიონერები სრულიად საკავშირო პიონერთა ბანაკ „არტეკიდან“. პიონერებმა გამართეს მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და პ. რობსონი. სულით და გულით მიესალმნენ მათ არტეკელები და დარბაზში შეკრებილი დამსვენებლები.

ბავშვებმა, რომლებიც სრულიად საკავშირო პიონერთა ბანაკში ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კიევიდან და ტაშკენტიდან, სვერდლოვსკიდან და ნოვოსიბირსკიდან და ჩვენი დიადი სამშობლოს ბევრ სხვა ქალაქიდან, იმღერეს, იცეკვეს, წაიკითხეს პოემები და ლექსები. ყოველ ნომერს, რომელიც მათ შეასრულეს, მაყურებელნი მეტად გულთბილად ხვდებოდნენ, მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ.

დარბაზში გაისმის არტეკელთა სიმღერები „არის ადგილი ყირიმში“ და „მიჰყავთ, მიჰყავთ ბავშვები“.

კონცერტი დამთავრებულია. მისმა მონაწილეებმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ყირიმის ყვავილების თაიგულები მიართვეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და პ. რობსონს.

შემდეგ ყველა მაყურებელი მიეწვიეს სანატორიუმის მოედანზე. სამხრეთის ცის ქვეშ გაგრძელდა მხიარულობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა — შემსრულებლებიც და მაყურებლებიც. შეასრულეს „მეგობრობის ცეკვა“. სულ უფრო შემჭიდროვდა რკალი. გაისმის ერთ-ერთი პოპულარული სიმღერა — „ვრცელია ჩემი სამშობლო მხარე“. მას მღერის პოლ რობსონი:

„სად არის კიდევ მსგავსი
ქვეყანა,
რომ ასე ლაღად სუნთქავდეს
ყველა“.

შემდეგ პოლ რობსონმა დიდი გრძნობით შეასრულა ლირიკული სიმღერა „ღამე“.

დროა პიონერები შინ დაბრუნდნენ. გამოთხოვებისას პოლ რობსონმა მათ უმღერა ზანგური „იავანა“.

საამური შთაბეჭდილებით აღსავსენი დაბრუნდნენ პიონერები „არტეკში“.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲔᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის განსახორციელებლად 1958 წლის 27 აგვისტოს 8 საათსა და 6 წუთზე მოსკოვის დროით სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიიდან საშუალო განედებში მოეწყო ერთსაფეხურიანი გეოფიზიკური რაკეტის მორიგი გაშვება. რაკეტამ მიაღწია გაანგარიშებულ სიმაღლეს — 450 კილომეტრს.

რაკეტაზე დადგმული იყო ატმოსფეროს ზედა შრეების კომპლექსური კვლევის გეოფიზიკური ხელსაწყოები.

გარდა ამისა, რაკეტაზე სპეციალურ ჰერმეტულ კაბინაში მოთავსებული იყო ორი საცდელი ცხოველი (ძაღლები).

რაკეტით წაღებული გეოფიზიკური სამეცნიერო აპარატურის, რადიოტელემეტრიული მოწყობილობის, კვების წყაროების, ჰერმეტული კაბინის, ამ კაბინაში მოთავსებული საცდელი ცხოველების, მისი დამხმარე სისტემებისა და მასთან ერთად ხელსაწყოს ნაკვეთურის კონსტრუქციის საერთო წონა შეადგენს 1.690 კილოგრამს.

რაკეტაზე დადგმული იყო შემდეგი ხელსაწყოები მეცნიერული კვლევისათვის:

— იონოსფეროს თავისუფალი ელექტრონების კონცენტრაციის გასაზომი ულტრამოკლეტალღიანი, დისპერსიული რადიოინტერფერომეტრი;

— ატმოსფეროს იონური შედგენილობის გასაზომი ხელსაწყო;

— ატმოსფეროს დადებითი იონების კონცენტრაციის შესასწავლი აპარატურა;

— ელექტრონული ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო;

— ჰაერის წნევის გასაზომი იონიზაციური და მაგნიტური მანომეტრები;

— მიკრომეტეორების ნაწილაკთა დირეტყმის სარეგისტრაციო მოწყობილობები.

— სპექტრის ულტრაიისფერი არის სარეგისტრაციო მზის სპექტროგრაფი.

— დედამიწისა და დედამიწის ატმოსფეროს ინფრაწითელი გამოსხივების სარეგისტრაციო ხელსაწყო.

— ჰერმეტული კაბინა, რომელშიც მოთავსებული იყო ორი საცდელი ცხოველი, მოწყობილი იყო ცხოველთა ბიოლოგიური ფუნქციების რეგისტრაციის ავტონომიური სისტემით, რეგენერაციის სისტემით, ფრენის დროს ცხოველთა ქცევის გადასაღები სპეციალური კინოდანადგარით.

დასახული მეცნიერული კვლევის დროს საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად რაკეტა მთელი ფრენის, ამასთან ინერციით ფრენის, განმავლობაში სტაბილიზებული იყო სპეციალურ მოწყობილობათა დახმარებით, რაც გამორიცხავდა მის ბრუნვას ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძების გარშემო.

რაკეტის ფრენა წარმოებდა ვერტიკალისადმი მცირე კუთხით დასახული მიმართულებით, რის შემდეგ რაკეტა დაეშვა ზუსტად დასახულ უბანში.

მიღებული მასალების წინასწარმა გასინჯვამ გვიჩვენა, რომ მთელი აპარატურა ფრენის დროს ნორმალურად მუშაობდა და უზრუნველყო საჭირო სამეცნიერო მონაცემების მიღება.

საცდელი ცხოველები 450 კილომეტრი სიმაღლიდან დედამიწაზე დაშვების შემდეგ კარგ მდგომარეობაში არიან.

ამ გაფრენის შედეგად მიღებული მასალები მუშავდება.

ტყიბულელი და ტყვარჩელელი მოწინავე მეშახტეები (მარცხნიდან): სოციალისტური შრომის გმირი გამყვანი პ. ჭელიშვილი, ბრიგადირი გ. გერგაია, მნგრეველი ლ. გოჩელაშვილი, გამყვანი ბ. გერგაია, მებიგე ო. დოლონაძე, მნგრეველი ს. ქათამაძე, მბურღავი ო. სვანიძე.

მივცეთ საშუალება მეჯი, მაღალხარისხოვანი ქვანახშირი

★ ★ ★ ★ ★

ახალი ამოცანების წინაშე

✦
ბ. გუჯეჯიანი,
კომბინატ „საქნახშირის“ უფროსი.
✦

უფრო რთულია საკითხი სქელი ფენების დამუშავებისა ტყვარჩელის საბადოს პირობებში, სადაც შერჩეული არ არის დამუშავების სათანადო სისტემები, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ნახშირის მოპოვებას.

ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში სქელი ფენების დამუშავების სისტემების შერჩევასა და გამოცდაში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს დახმარება უნდა გაუწიონ სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა, კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტმა. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის შახტების მოწინავე გამოცდილება.

ქვანახშირის მოპოვების გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, როგორც ცნობილია, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია წარმოადგენს.

საქართველოს შახტები თავისი სამთო-გეოლოგიური პირობებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საბჭოთა კავშირის სხვა შახტებისაგან, რაც აბრკოლებს არსებული სამთო მანქანებისა და მექანიზმების ფართოდ გამოყენებას, ამიტომ საჭიროა სერიოზული მუშაობა, რათა შერჩეულ იქნას ისეთი მანქანები და მექანიზმები, რომელთა გამოყენება ეფექტური იქნება საქართველოს შახტების პირობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვანახშირის მოპოვების გადიდებისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის საკმარისი არ არის ცალკეული პროცესების მექანიზაცია, არამედ საჭიროა როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების კომპლექსური მექანიზაცია. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის შახტებში უახლოეს პერიოდში უნდა გამოიცადოს მოძრავი სამაგრი, მოძრავი მესერული გამაგრება და ანკერული გამაგრება წმენდით სანგრევებში; უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს სხვადასხვა სახის ლითონის სამაგრი, ხოლო ახალციხის შახტებში — რკინაბეტონის ბლოკებით მექანიზებული გამაგრება. ამავე დროს, ორლიანდაგიანი გვირაბების რკინაბეტონის ბლოკებით გამაგრებისათვის უნდა შეიქმნას ბლოკების ამწყობი მექანიზმი და წარიმართოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაქანებული გვირაბების ბლოკებით გამაგრების საკითხის გადასაჭრელად.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები. მთელ რიგ შახტებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზებით გამოწვეულ გაცდენებს, სამთო მანქანებისა და მექანიზმების მოცდენას მუშაობის პროცესში დაზიანების გამო. არადამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია, არის შემთხვევები, როცა მუშები ცდებიან ისეთი ხასიათის მიზეზებით, რომლებიც სამუშაოს სწორი ორგანიზაციის დროს შეიძლება ადვილად იქნას ლიკვიდირებული. მთელ რიგ სამუშაოთა წარმოებისას მუშები მნიშვნელოვან დროს ხარჯავენ მოსამზადებელი და დამხმარე ოპერაციების შესრულებაზე, ხოლო ძირითადი ოპერაციების შესასრულებლად შედარებით მცირე დრო რჩება.

საჭიროა სერიოზული მუშაობა წარიმართოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფილ იქნას შახტების და საექსპლოატაციო უბნების რიტმული მუშაობა, ფართოდ დაინერგოს ციკლური გრაფიკი, რომელიც შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების დროულად შესრულებას, რათა უზრუნველყოთ ყოველი უბანი და შახტი წმენდითი სამუშაოების სათანადო ფრონტით.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანა დგას მოპოვებული ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისა და საკოქსე კონცენტრატის გამომუშავების გადიდების საქმეში. ტყიბულის საბადოს ნახშირის იმ ფენებში, რომლებიც წელს მუშავდება, მნიშვნელოვნად გადიდდა ნაცრიანობა და გოგირდის შემცველობა, რის დასაძლევადაც საჭიროა სერიოზული მუშაობა. საჭიროა გამამდიდრებელი ფაბრიკების ტექნოლოგიური რეჟიმის შემდგომი გაუმჯობესება, რათა გადიდებულ იქნას საკოქსე კონცენტრატის გამოსავალი.

წელს მაღალ საწარმოო შედეგებს მიაღწია კომბინატ „საქნახშირის“ გეოლოგიურ-საძიებო ტრესტმა, რომელმაც ბურღვის გეგმა 7 თვეში 106 პროცენტით შეასრულა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული შაორის საბადოს მიდამოებში, სადაც გამოვლინებულია ქვანახშირის დიდი მარაგი.

ქვანახშირის მრეწველობის განვითარების გეგმების შესაბამისად გათვალისწინებულია საქართველოში ნახშირის მოპოვების გაზრდა 1965 წლისათვის 3.800 ათას ტონამდე, საკოქსე კონცენტრატების გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება და ქვანახშირის მაღალხარისხოვანი ბრიკეტების გამოშვება.

საქართველოს მეშახტეები და შახტმშენებლები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრა, ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი და მაღალი ხარისხის ქვანახშირი.



შაორის გეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატი ნ. სვანიძე, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს დიდ სიღრმეზე ბურღვის ნორმებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.
(საქმესის ფოტოქრონიკა).

* * *

„ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მეექვსე შახტის მნგრეველ-დამტვირთველთა ბრიგადა, რომელსაც გ. ლეიბა ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მნგრეველ-დამტვირთველთა ბრიგადა (მარჯვნიდან მარცხნივ) — გ. ლეიბა, გ. მდივნიშვილი, ა. ადლეიბა, გ. ლომთათაძე და შ. ტორჩუა შახტში ჩასვლის წინ.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქმესის ფოტოქრონიკა).

მილიონერი რაციონალიზატორი

დიმიტრი ლაზარენკო თვრამეტი წლის ახალგაზრდა ჩამოვიდა ტყვარჩელში. ეს იყო 1931 წელს. მან განსაკუთრებული მიდრეკილება გამოიჩინა რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობისადმი. მის მიერ კონსტრუირებულია ვერტიკალური ჭრილების გასაბურღი დაზგა, ამწევი ონკანი და სხვ.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტში შეჯამებულია, რომ დ. ლაზარენკომ ი. ბ. სტალინის სახელობის შახტში თავისი რაციონალიზატორული საქმიანობის პერიოდში შეიტანა 50-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა განხორციელება წელიწადში ერთ მილიონზე მეტი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ტყვარჩელის ოთხ შახტში ელექტრომექანიკურ განყოფილებათა უფროსებად მუშაობენ ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის ელექტრომექანიკურ განყოფილებაში აღზრდილი ადამიანები. აგრეთვე ლავენსა და სანგრევებში შრომობენ მექანიზატორები, რომლებსაც სამთო მანქანებისა და მოწყობილობებისადმი მოპყრობის ჩვევები მიღებული აქვთ დ. ლაზარენკოსთან.

ამჟამად დ. ლაზარენკო მუშაობს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისათვის მსუბუქი ტიპის კომბინირებული ჯალამბრების შესაქმნელად.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეცნიერები მხარში უდგანან სამთოელებს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ჯგარშეიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობს ტყიბულის შახტებში ჰიდრავლიკური ვსების ფართოდ დანერგვის საკითხს. ქვანახშირის მრეწველობაში ჰიდრავლიკური ვსების საკითხებს მიეძღვნა ამას წინათ ტყიბულში გამართული ტექნიკური სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაზე აღძრულმა მთელმა რიგმა საკითხებმა გამხორციელება ჰპოვა ტყიბულის შახტებში. მაგალითად, სტალინის სახელობის შახტის ღრმა ჰორიზონტებზე მოეწყო წყალშემკრები. ამით დიდად გაუმჯობესდა მეშახტეთა მუშაობის პირობები. აშენდა სტალინის სახელობისა და ლენინის სახელობის შახტების ახალი საკარიერო მეურნეობები, რომლებიც აღჭურვა ახალი დანადგარებითა და მოწყობილობებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს გამონამუშევრებში სავსები მასალის შეუფერხებელ მიწოდებას. წელს ლენინის სახელობის შახტში დამატებით კიდევ ერთი უბანი გადავიდა ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდზე.

სტალინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც გ. ჩიგაძე ხელმძღვანელობს, შეიმუშავა სანგრევის წინსვლის ჩქარსნული მეთოდი. წინათ სანგრევის 7,4 კვადრატულ მეტრ ფართობზე ბურღავდნენ 1,5 მეტრი სიღრმის 30-32 შპურს. ახლა შპურების რიცხვი 18-21-მდე შეამცირეს, სამაგიეროდ შპურების სიღრმე 2,4 მეტრამდე გაზარდეს. ამან გამოიწვია სამუშაო დღის მეკეთრი შემცირება და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

სტალინის სახელობის შახტში ვაგონების ტრანსპორტირების დროს იყო ხოლმე ვაგონების მოულოდნელად გადახსნის შემთხვევები, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნიდა მუშაობაში. სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა ვ. ტყემალაძის მეთაურობით შახტის ხელმძღვანელების დახმარებით გამოსცადა ახალი კონსტრუქციის ვაგონების გადასაბმელი მოწყობილობა.

ცნობილია, რომ სამთო გამონამუშევართა გაყვანის დროს წარმოშობილი მტვერი საზიანოა მეშახტეთა ჯანმრთელობისათვის. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ჭილაშვილმა და ა. ნიკარაძემ შექმნეს სპეციალური მტვერსაჭერი დანადგარი, რომელსაც ახლა წარმატებით იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ხ. მერკვილაძე.

სამთო მანქანები ქუთაისის მარკით

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის — „მაღაროელის“ კოლექტივს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვანახშირის საბადოების ახალი სამთო ტექნიკით აღჭურვის საქმეში. ქარხნის პროდუქცია — საშახტო ელმავლები, ექსკავატორები, საშახტო-საბაგირო ვაგონეტები, არტეზიული წყალსატუმბავები და სხვა სამთო-საშახტო მოწყობილობა იგზავნება ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.

ქარხნის კოლექტივი თავდადებით იბრძვის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ახალი ტიპის მანქანებისა და მექანიზმების წარმოების ათვისებისათვის. უკანასკნელად აქ ითვისეს მცირეგაბარიტიანი საშახტო ელმავლის „აკ-2 უ“ და მძლავრი არტეზიული წყალსატუმბავის „ატნ-1-14“ წარმოება და ამ მანქანების სერიულ გამოშვებაზე გადავიდნენ.

მანქანათმშენებლები წარმატებით ართმევენ თავს მეშახტეთა და შახტმშენებელთა დაკვეთებს, უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმის გადამეტებით შესრულებას. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება 108,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა— 102,3 პროცენტით. ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 6,1 პროცენტით გაიზარდა.

ქარხანაში ბევრია სახელმოხვეჭილი ადამიანი, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობენ საშახტო შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებას, ზრდიან სამთო მოწყობილობის გამოშვებას. მეშახტეთა დღესასწაულს სასახელო წარმატებებით ხვდებიან მჭედლები ს. გელენიძე, ლ. გეგუჩაძე, ხარატები ო. სულაბერიძე, ს. გაიდენინი, მ. ეფოკიმოვი, ელექტროშემდუღებელი კ. ვოროპაევი, მეყალიბეები ა. კოხია, ო. სანებლიძე. საოქტომბრო შეჯიბრებაში ყველას უსწრებს საამწყობო-მექანიკური საამქროს არტეზიული წყალსატუმბავების ამწყობ-ბეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ვ. მარგველაშვილი ხელძღვანელობს. ამ ბრიგადამ საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ამ დღეებში ქარხანამ სამთო-საშახტო მოწყობილობა გაგზავნა ტყვარჩელსა, ტყვარჩელისა და ახალციხის შახტებში, მოსკოვში, ლენინგრადში, დონბასში, ურალზეთში, ნოვოსიბირსკში, ტულაში და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში.

ქუთაისური მარკის საშახტო მანქანები და მექანიზმები მეშახტეთა და შახტმშენებელთა მოწონებით სარგებლობს.

მანქანათმშენებლები ფართოდ გააჩაღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს ვადაზე ათი დღით ადრე გაანაღდონ მიმდინარე წლის დავალება. მათი თავდადებული შრომა პირობის განაღდებას საწინდარია.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ჩემი საყვარელი პროფესია





ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 2 შახტის მნგრეველი.

რამდენიმე წელია ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 2 შახტში ვმუშაობ. ღრმად დავეუფლე მნგრეველის პროფესიას. შევეჩვიე და შევეზარდე შახტში მუშაობას. გული მხნეობს და ხალისობს, როცა საექსპლოატაციოდ მომზადებულ ლავებს შეებმები და ღვარად წამოვა შავი ოქრო.

მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ საექსპლოატაციო უბნები, ცვლები და ბრიგადები. შახტის კოლექტივმა სამშობლოს გეგმის ზევით 8.230 ტონა ქვანახშირი მისცა.

სხვებს არც მე ჩამოვრჩი, ვმუშაობ ცნობილი დონბასელი მეშახტის ნ. მამაის მეთოდით, ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 4-5 ტონა ქვანახშირს ვიღებ, 7 თვის გეგმა 144 პროცენტით გავანაღდე.

მეშახტის დღეს უკეთესი მაჩვენებლებით ხვდებიან ჩემი თანამოსაქმეები გ. ხარაზიშვილი და დ. გრიგოლაშვილი. ისინი უკვე მომავალი წლის ინგარიშში მუშაობენ.

ა. შუბითიძე,
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 2 შახტის მნგრეველი.

ბარაქალა მათს მარჯვენას

ტყიბული. სტალინის სახელობის შახტი. მეორე უბანი. სანგრევია ნოვატორი მეშახტე ივანე ორჯონიკიძე. იგი საშუალო ტანის, ჩასკვნილი ვაქკაცია. ერთი შეხედვით აუჩქარებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ მუშაობის ტემპში მას ვინ შეედრება! ივანემ ცვლაში სანგრევი ორჯერ დაბურღა, ააფეთქა და ქვანახშირის მონგრევის დავალება 170 პროცენტით შეასრულა. ეს დღე ივანესათვის განსაკუთრებული როდი იყო. მან ორ წელსა და 7 თვეში ქვეყანას 5.878 ტონა ქვანახშირი მისცა.

რაში მდგომარეობს ი. ორჯონიკიძის წარმატების „საიდუმლოება?“

— სანგრევში, — ამბობს ნოვატორი, — გულდასმით ვათვალიერებ ჩემს სამუშაო ადგილს, ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მეტი ქვანახშირის მონგრევა. დიდ ყურადღებას ვაქცევ შპურების განლაგებას. ვჭრი გამყელავ, მომნგრევ და დამხმარე შპურებს. ჯერ ვაფეთქებ გამყელავ, შემდეგ მომნგრევ, ბოლოს კი დამხმარე შპურებს. ასეთი მუშაობით ვზრდი შრომის ნაყოფიერებას. საერთოდ, — დაასკვნის ი. ორჯონიკიძე, — წარმატების მთელი საიდუმლოება სამთო ხელოვნებისა, შენი საქმის, ტექნიკის დაუფლებაში მდგომარეობს.

ნოვატორი მეშახტის ნათელი მაგალითი მკაფიოდ მეტყველებს, თუ როგორ ფასდება ჩვენში უბრალო ადამიანების შრომა. ი. ორჯონიკიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მას მიღებული აქვს მთავრობის რამდენიმე ჯილდო.

აქვე მუშაობს დონბასის შახტებში გამოცდილებამიღებული ძველი მეშახტე ანატოლი რადიმინი. იგი წარმატებით ფლობს მნგრეველის, გამყვანის, მებიგის პროფესიებს, ერკვევა რთულ სამთო მექანიზმებში. ა. რადიმინს აქ „უნივერსალურ“ მეშახტეს ეძახიან. შახტის ხელმძღვანელობა მას ყოველთვის რთულ უბანზე გზავნის სამუშაოდ. ა. რადიმინმა 20 აგვისტოს შეასრულა ბიგების ჩადგმის წლიური დავალება. ახლა იგი მომავალი წლის ინგარიშში მუშაობს. მოწინავე მეშახტე ახალგაზრდებს უზიარებს თავის გამოცდილებას, ეხმარება მათ პროფესიების დაუფლებაში.

ლენინის სახელობის შახტში ყველა იცნობს და პატივს სცემს მეშახტეთა ძველ თაობის წარმომადგენელს ლავრენტი გოჩელაშვილს. ოცდაათი წელია იგი ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობს. ლავრენტის გვერდში უდგას მისი შვილი რომანი. მამა-შვილი ერთ სანგრევში მუშაობენ. მამა გულდასმით ასწავლის შვილს ქვანახშირის მონგრევის ტექნიკას, გადასცემს თავის ცოდნას და გამოცდილებას.

ამას წინათ შეაჯამეს მამა-შვილის მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ შვილმა გაუსწრო მამას.

ტყიბულის წიაღის სიღრმიდან ქვანახშირის ამოღების სურვილმა, სამშობლოს სიყვარულმა მოიყვანა აქ ოთხი ძმა გვენეტაძეები. ამ ოთხმა ვაჟკაცმა წელს 9 ეშელონი მაღალხარისხოვანი საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნა რუსთავის მეტალურგებს.

ბარაქალა მეშახტეთა მარჯვენას!

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეშახტე დამსვენებელთა ერთი ჯგუფი წყალტუბოში სანატორიუმ „შახტიორის“ წინ.

ფოტო ე. ციციაშვილისა.

მეშახტეთა კეთილდღეობისათვის

დასვენების, კულტურული გართობის შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი ჩვენს ქვეყანაში მეშახტეებს. მათთვის სპეციალურად არსებობს სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კლუბები, კინოთეატრები, სამკითხველოები, სამედიცინო დაწესებულებანი. წელს ჩვენი რესპუბლიკის 2.000-მდე მეშახტემ შვებულება გაატარა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ოჩამჩირის, წყნეთის, საწირეს პიონერთა ბანაკებში ჯანმრთელობას იკეთებდა მეშახტეთა 1.260-მდე შვილი.

ტყიბულში, ტყვარჩელში, ახალციხეში მეშახტეთა სამსახურშია ჩაყენებული სამკითხველოები, რომლებსაც მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური ლიტერატურის 25 ათასზე მეტი წიგნი აქვთ. სამკითხველოებში ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, მხატვრული ნაწარმოებების განხილვა, ლექციები და მოხსენებები ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებზე, ეკონომიურ თემებზე და ა. შ.

მრავალი ღონისძიება ხორციელდება მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო წელს ახალ ბინებში შესახლებულ იქნა 240 მეშახტის ოჯახი. წლის ბოლომდე კიდევ აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა საცხოვრებელი ბინები ათასობით კვადრატული მეტრი ფართობისა.

ერაყოვნული ეროვნული

საქართველოს კურორტებზე

ზღვისპირა კურორტების უღამაზეს მხარეში

აფხაზეთი. საქართველოს შავიზღვისპირეთის მუდმივმზიანი, მარადმწვანე მკვნარ-რეების, ჯანმრთელობის კერების ულამაზესი მხარე, საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული ბაღი.

... ზღვის ტალღების ხმაური ოდნავ არღვევს სადამოს მყუდროებას, ღამის ბინდში შორს აღმართულა უზარმაზარი ხომალდის თეთრი სილუეტი. ეს სოხუმია, აფხაზეთის გული, ქალაქი-ბაღი, ქალაქი-კურორტი, რომელიც ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხესთან დაკავშირებულია რკინიგზით, საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო გზებით. ქალაქი, რომელიც ყოველდღიურად იღებს ათასობით სტუმარს, აოცებს მათ თავისი სილამაზით.

უკაცრიელი იყო წინათ სოხუმის მთა, დაფარული ეკლიანი ბუჩქებით. ახლა იქ 30-ზე მეტი პექტარი ფართობი უკავია კულტურისა და დასვენების პარკს, მშრომელთა დასვენების საყვარელ ადგილს. და კიდევ რამდენი შესანიშნავი ადგილი ამშვენებს ამ ლამაზ ქალაქს. მის ცენტრში გადაშლილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი — სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო. მის ტერიტორიაზე გაშენებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შემოტანილ მცენარეთა ინფიათი კოლექცია.

დამსვენებელთა განკარგულებაშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი — საზამთრო და საზაფხოო თეატრები, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, რამდენიმე კინოთეატრი, აგრეთვე წყალჯომარდობის სადგური, „დინამოს“ სტადიონი.

მრავალ სიახლესთან ერთად ქალაქს სიძველის ნაშთებიც შემოუნახავს — უძველესი ქართული ხიდი, ნაშთი აფხაზეთის ძველი კედლისა, რომელიც ქვეყნის შიგნით 160 კილომეტრ მანძილზე იყო გადაჭიმული.

ზედ ზღვის ნაპირზე აღმართულან სასტუმრო „აფხაზეთის“ და „რიწის“ შენობები.

სოხუმის ჩრდილოეთით ზღვის დონიდან 950 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს მაღალმთიანი ტბა რიწა. „სილამაზის მარშრუტი“ — ასე უწოდებენ ექსკურსანტები ტბისკენ მიმავალ გზას, მდინარეების — ბზიფის, გეგის და იფეშარის მკაცრი ხეობის შემდეგ იგი მიემართება ციცაბო კლდესაკენ, რომლის იქით მთის ძირში გადაშლილია ეს ულამაზესი ცისფერი ტბა, ირგვლივ შემოჯარული დაბურული ტყით.

რიწის ტბიდან გზა ბზიფის ლაშაზი ხეობით ზღვისაკენ ეშვება. ზღვის ნაპირზეა კურორტი გაგრა. კურორტზე ნაპირის გაყოლებით განუწყვეტელ რიგად ჩამწკრივებულან სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები.

ზღვის ნაპირზე შესანიშნავ ადგილას აღმართულა სანატორიუმ „ოქტომბერას“ კორპუსები, აქ, როგორც ყოველთვის, წელსაც მრავალი დამსვენებელია, რომლებიც ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსულნი. დამსვენებელთა განკარგულებაშია მშვენიერი ოთახები, ბალი, სამედიცინო პლაჟი. ბადლობის მრავალ სტრიქონებს ამოიკითხავთ სანატორიუმის შთაბეჭდილებათა წიგნში.

მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ე. ბლოხი თავის მეუღლესთან ერთად მეხუთეჯერ ჩამოდის აქ. გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლის შვებულებაც აქ გაატაროს. ეი კიდევ უფრო „სტალინი“ დამსვენებელი, მოსკოვის ავტომექანიკური ინსტიტუტის დოცენტი ა. ლეზი. იგი 1951 წლიდან სანატორიუმის მუდმივი დამსვენებელია.

მშვენიერ ადგილს მდებარეობს სანატორიუმი „მენაფეობა“. სანატორიუმი კარდიოლოგიური და საერთო-ალიმატური პროფილისაა. მისი უზარმაზარი, ლამაზი კორპუსების წინ გადაშლილა ლურჯად მოლიცლივე ზღვა. ალაკი დამსვენებლებით არის სავსე. მრავალი ავადმყოფი განუკურნავს ამ კორპუსებს, არაჩვეულებრივ ბუნებას. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი 67 წლის დ. სამადაშვილი აქ სერიოზული ავადმყოფი ჩამოვიდა, ახლა მშვენიერად გრძნობს თავს.

— დიახ, მე მძიმე ავადმყოფი ჩამოვიყვანეს, არ მეგონა, თუ ვიცოცხლებდი, ახლა რაღა მეთქმის მადლობის გარდა, სიცოცხლე დამიბრუნეს. შვილო, თუ ცოლებლად მოიხსენიე ჩემი მკურნალი ექიმი ნატალია გუჯეჯიანი. იგი ნამდვილი გულისხმიერი, მზრუნველი ადამიანია, — გვთხოვს მოხუცი.

...მადლობას ეუხდი სანატორიუმის მთელ კოლექტივს იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რასაც ჩემდამი და ყველა დამსვენებლისადმი იჩენდნენ აქ“, — ასე ჩაწერა გაგრის სანატორიუმ „ჩელუსკინელების“ შთაბეჭდილებათა წიგნში საბჭოთა კავშირის გმირმა რაიხსტაგის აღების მონაწილემ ი. სიანოვმა, რომელიც აქ ისვენებდა.

ამ სანატორიუმში ისვენებდნენ და დაუფიწყარი შთაბეჭდილებებით წავიდნენ ორენბურგში მცხოვრები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ი. სოლოვეროვა, კიეველი მფრინავი პ. პერესიპკინი და კიდევ მრავალი სხვა.

...მოსკოვის რადიოგადაცემათა რედაქციის დიქტორს ანეტ ხენკინას, ლენინგრადელ მსახიობს ოქსანა ბონდარენკოს და რიგელ ექიმს ნინო ორლოვას წინათ შეიძლება არც ეფიქრათ, თუ როდისმე ერთმანეთს შეხვდებოდნენ. ახლა კი მეგობრები არიან. ისინი დამეგობრა გაგრის საკურორტო სამმართველოს პანსიონატმა, ოთახმა, რომელშიც ერთად ცხოვრობენ და შვებულებას ბედნიერად ატარებენ. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა კარგად გაუგეს ერთმანეთს და, როგორც ახლა თვითონ აღნიშნავენ, მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელ მეგობრებად დარჩებიან.

კურორტიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს პანსიონატი „გაგრა“. აქ დამსვენებელთა უმეტესობა საკუთარი მანქანებით არის ჩამოსული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. დამსვენებლები სპეციალურად მოწყობილ გარაჟში ათავსებენ თავიანთ მანქანებს, ხოლო მათს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ოთახები. გარაჟში თითქმის ყველა სახის მანქანას ნახავთ — „ზიმს“, „პობედას“, „მოსკვიჩს“, ხშირია მოტოციკლიც. პანსიონატში ისვენებდა მოსკოველი პროფესორი ა. დამირი თავისი ოჯახით. იგი საკუთარი „ზიმით“ ჩამოვიდა გაგრაში. აქვე ისვენებდა ლენინგრადელი დოცენტი ვ. პოკროვსკი, მანქანა „მოსკვიჩის“ მფლობელი, ხოლო ცოლ-ქმარი იასინსკეები დასასვენებლად აქ საკუთარი „პობედით“ ჩამოვიდნენ. ეი კიდევ ერთი დამსვენებელი, ლენინგრადელი კონსტრუქტორი ი. ფეოდოტოვი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად მოტოციკლით ჩამოსულა და შვებულების უკანასკნელ დღეებს ატარებს ამ მშვენიერ პანსიონატში.

ერთი კი უნდა აღვნიშნოთ: უკეთესი იქნებოდა, კურორტებზე მეტი ყურადღება რომ ექცეოდეს დამსვენებელთა კვების საქმეს, ჯანმრთელობის დაცვის კერები და სავაჭრო ორგანიზაციები შეუფერხებლად რომ მარაგდებოდეს კვების პროდუქტებით, ახალი ბოსტნეულით.

კარგი იქნებოდა აგრეთვე გაგვეუმჯობესებინა ზღვისპირა კურორტების კულტურული მომსახურება. თუ ამას გაგიკეთებთ, აფხაზეთის ეს შესანიშნავი „ზღვისპირა კურორტები კიდევ უფრო მიმზიდველი გახდებიან, ჩვენი ქვეყნის ეს წარმტაცი, ულამაზესი მხარე კიდევ უფრო მეტ დამსვენებელსა და ნამყოფელს მიიზიდავს.

ბ. ძვრიშვილი,
ი. გოგიჩიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



ხურათზე: მუშა დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში: (მარცხნიდან მარჯვ ნივ) ზეინკალი კ. პეტროვი (ქ. სალსკი), ლოკომოტივის მემანქანე ი. ჩუმიჩევი (მოსკოვი), მექვაბე მ. სამოკოევი (მოსკოვი), ქსოვის ოსტატი ვ. მაშკოვი (ქ. დმიტროვი) და ხარატი ს. კონიუფოტო ს. კოროტკოვისა.

* * *

გამოჩენილი მკვლევარი, ნიჭიერი პუბლიცისტი

(სიმონ ხუნდაძის გარდაცვალების 25 წლისა და დაბადების 65 წლისთავის გამო)

1933 წლის აგვისტოში მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, დიდი ერუდიციის პედაგოგი და ნიჭიერი პუბლიცისტი — სიმონ ხუნდაძე.

სიმონ ხუნდაძემ ჯერ კიდევ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში სერიოზული ყურადღება მიაქცია საზო-

გადოებრივი ცხოვრების აქტიურ საკითხებს და მალე მიიპყრო როგორც მასწავლებლების, ისე ამხანაგების ყურადღება. გიმნაზიაში სიმონ ხუნდაძე აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ს. ხუნდაძე მოსკოვს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა და აქტიურად ჩაება სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1917 წელს უკვე ჩამოყალიბებული პუბლიცისტი და ჟურნალისტი, სიმონ ხუნდაძე საქართველოში დაბრუნდა.

1924 წლიდან სიმონ ხუნდაძე ენერგიულად თანამშრომლობს როგორც გაზეთ „კომუნისტში“, ისე სხვა პერიოდულ გამოცემებში. ამ პერიოდში მან დაამუშავა და გამოსცა შრომები მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ პრობლემებზე: „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, „მარქსის ინტერნაციონალი“, „მარქსისა და ენგელსის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხებში“, „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები“ და სხვ.

1925-26 წ. წ. სიმონ ხუნდაძე კვლავ მოსკოვშია, ხოლო 1927 წელს საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის საელჭწიფო უნივერსიტეტში, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტებს და დიდი გულისხმიერებითა და ენერგიით იღებდა მონაწილეობას უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდა-მომზადებაში.

სიმონ ხუნდაძის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი XIX საუკუნის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, მათ შორის ორტომიანი წიგნი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, „ქართველი ინტელიგენციის პროფილები XIX საუკუნეში“, „ნიკო ნიკოლაძე“, „გიორგი წერეთელი“, „ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი“, „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, „წერილები დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შესახებ“ და სხვ. მის მიერვე დაბეჭდილია გამოკვლევანი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ყიფიანის, გ. წერეთლის, ივ. მაჩაბლის, ნ. ნიკოლაძის, ე. ნინოშვილის, ს. მესხის და სხვათა შესახებ.

სიმონ ხუნდაძის მეცნიერულ-შემოქმედებითი პოტენციალ წარსულის მემკვიდრეობის შესწავლით როდი იფარგლებოდა. იგი როგორც თავისი დროის მებრძოლი მეცნიერი ეხმაურებოდა სოციალისტური კულტურის სხვადასხვა დარგებს, წერდა თანამედროვე ქართველ მწერალთა შესახებ.

განსაკუთრებით დასაფასებელია სიმონ ხუნდაძის ღვაწლი ქართველი კლასიკოსების გამოცემის საქმეში. საქართველოში მაშინ ახალ საქმედ ითვლებოდა ტექსტის ავტოგრაფიულ ვარიანტებთან შედარება-შეჯერების მეთოდი. ამიტომ იყო, რომ იგი წერდა: „ჩვენ დაგვჭირდება ჯერ კიდევ კარგა ხანს შავი მუშაობის ჩატარებაო“. — და ამ შავ მუშაობის თვითონ არასოდეს არ ერიდებოდა. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ტექსტის დადგენა არ იყო საკმარისი გამომცემელ-რედაქტორის მუშაობის ამოსაწურავად. სიმონ ხუნდაძეს სწამდა, რომ ნაწარმოების დაწერის თარიღის ცოდნა მწერლის შემოქმედების ევოლუციაში გარკვევას ნიშნავდა, რასაც თან უნდა დართოდა ნაწარმოების გარშემო ყველა სხვა საჭირო ცნობის შეკრება. ამიტომ იყო, რომ იგი უარყოფდა ნაწარმოებთა შესწავლისას მხოლოდ თემატური დალაგების წესს.

სიმონ ხუნდაძის სამეცნიერო-კვლევითი დიალაპარაკი სალიტერატურო მუშაობის გარდა ვრცელ პრაქტიკულ საქმიანობასაც ითავსებდა; ის რედაქტორობდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას“, ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას, გამომცემლობა „ფედერაციას“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, თანამშრომლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, იყო ზევრი საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსი და საპატიო წევრი მრავალი სხვა კულტურულ-სამეცნიერო ორგანიზაციისა.

სიმონ ხუნდაძე დიდი ინტერესით მუშაობდა ძველ ხელნაწერებზეც. როგორც შრომის უდიდესი უნარის მქონე მეცნიერს, მას ახასიათებდა მკვლევარ-მოაზროვნისათვის საჭირო თვისებები: გამბედაობა, დიდი განზოგადების უნარი, ჭეშმარიტი დამოუკიდებელი აზროვნება, პრინციპულობა და გარკვეული მეცნიერული მეთოდის ნიადაგზე მოვლენათა ახლებური ახსნის სურვილი და ძალა.

ძნელია საგაზეთო წერილში აღინუსხოს ის მდიდარი და მრავალმხრივ ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდა სიმონ ხუნდაძე თავისი სიცოცხლის მოკლე დროის განმავლობაში. იგი არასოდეს არ შეუშინებია სიძნელეებს, იგი არასოდეს არ დარიდებია საარქივო მტვერსა და განუწყვეტელ მუშაობას. მისი მახვილი გონება, ჭარბი ენთუზიაზმი, გასაოცარი მეცნიერული კეთილსინდისიერება მუდამ ემსახურებოდა ჩვენი კულტურის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეს.

სირა ჟიჟინაძე.

ხელოვნების ქრონიკა

კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოჟურნალი

საკავშირო ალკ მე-40 წლისთავს მიეძღვნა ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს კინოსტუდიის ახალი ნაწარმოები „საბჭოთა საქართველო“ № 22.

კინოჟურნალის პირველი კადრები მაყურებელს აცნობენ კომკავშირელ გოგონას ნინი კაციტაძეს, რომელმაც წარჩინებით დამთავრა თბილისის 46-ე საშუალო სკოლა. კადრებს მაყურებელი გადაპყავს კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანაში. დაუღალავად შრომობენ კომკავშირული ბრიგადის წევრები. ისინი სასახელო მაჩვენებლებით ხედებიან ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს.

თბილისის მომხიბლავი პანორამის შემდეგ მაყურებელი ხედავს მინგეჩაურის ელექტროსადგურის მშენებლობას. აქ კომკავშირელი მშენებლები იმისათვის იბრძვიან, რომ სამუშაოები ვადაზე ადრე შეასრულონ — დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის დაამთავრონ მინგეჩაურ-თბილისის ხაზის მშენებლობა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდობის „მეგობრობის ბანაკის“ შესახებ მოუთხრობს მაყურებელს კინოჟურნალის მომდევნო კადრები. ქართველმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა კომკავშირელებმა თავიანთი შეხვედრა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს.

ამ მრავალსიუჟეტიანი კინოჟურნალის რეჟისორია შ. ხომერიკი, ოპერატორები — ო. დეკანოსიძე, ბ. კრეპსი, ა. პოღოსოვი, ზ. მაჩაიძე, ნ. ნაგორნი, შ. შიოშვილი, ვ. კურიანი.

გორის თეატრი მესხეთში

ახალციხე. (ხაკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლში რამდენიმე ღღეს გრძელდებოდა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებლებს უჩვენა მ. ჯაფარიშვილის რომანის მიხედვით შექმნილი პეროიკული დრამა „ალსენა მარაბდელი“, ჰ. ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, გ. ნახუცრიშვილის „წიწამური“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, პ. ჯაკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი“, ვ. კანდელაკის პეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“ და სხვ.

გორელმა მსახიობებმა რამდენიმე სპექტაკლი გამართეს აგრეთვე მეშახტეთა დაბის — ვალეს კულტურის სახლში, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში.

მახარაძის თეატრი კურორტ ბახმაროზე

მახარაძის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ იმყოფებოდა კურორტ ბახმაროზე. თეატრის კოლექტივმა დამსვენებლებს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები: „დაჭრილი არწივი“, „ალაგიძე“, „ამაღლებული სოფელი“, „ამბავი ორი ბიჭისა“, და სხვ.

ამ გაზაფხულისთვის

ნარკვევი

კომკავშირის მე-40 წლისთავის უსახვედრად

შემოდგომის სუსხიანი საღამო იდგა.

ქინქლღლავდა.

დაცარიელებულ ქუჩებში მენშევიკური მთავრობის გალეშილი გვარდიელები დაბობტებდნენ და იარაღის ჩხარუნითა და უდარდელი როხროხით ახმიანებდნენ მიყუჩებულ გარემოს.

მეგობნიას დუქანში ისევ გულისგამაწვრილებლად ჭყიპინებდა არღანი. ისევ ძველისძველ შიკასტებსა და ბაიათებს აცოდვილებდა ჩოფურა დომენტი...

საოცარია, ამ უამინდობაში საიდან მოეხირნენ აბაშაში ეს გადამთიელი მეარღნე და მისი ჩოფურა ამფსონი. თუმცაღა ამ მოლხენის დროს აბა რა საკითხავია მათი გზები და ავანჩავანი. მთავარი ის გახლავთ, რომ მათი ჩამოსვლით მეტი ეშხი და ლაზათი შეემატა არისტოკრატთა დღეგანდელ ღრეობას.

— სიყვარულისა დაატრიალე, — ლუღლუღებს ულვაშებაწკეპილი ოფიცერი და ოცდახუთათასიანს გაცრეცილ ქუდში სჩრის ხეიბარ მეარღნეს.

„სიყვარულისას“ აკვნესებს არღანი.

— ბატონებო და ქალბატონებო, — მოვერცხლილი ყახწით მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმას აპირებს ტუჩებგაჭონილი თამადა. მაგრამ ბატონებსა და ქალბატონებს მისთვის აღარა სცალიათ.

მილიციის უფროსი ნოე გვაზავა მენშევიკ ქორჩილავას კოპწია მეუღლის ფეხსაცმლით „თავისუფალი საქართველოს“ სადღეგრძელოს სვამს.

— ვაშა და ვაშა! — კისკისებენ აცეტებული მანდილოსნები, ტაშისცემითა და ფეხების ბრაგუნით ზანზარებს ხორაგითა და ლალისფერი სასმისებით დაზვინული სუფრა. ეშხში შესული მილიციის უფროსი კი გაუთავებლად გაჰყვირის ჩახლეჩილი ხმით:

— ყველა ბოლშევიკი ციხეში ჩავსვით... ჰი-იყ... თავისუფალ და ბედნიერ საქართველოს გაუმარჯოს!..

გაუმარჯოსო, კვერს უკრავენ მოქეიფენი, და პირგაბადრული მეარღნე ახლა „სამშობლოს“ ჰანგებს აკვნესებს.

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო მხიარული ყიჟინა და შეძახილები, როცა მოულოდნელად ჰაერში შხუილით აიჭრა ქაღალდების დასტა და თოვლის ფანტელებივით გამლილი ფურცლები ფარფატით დაეშვა იატაკზე.

— პროკლამაციები! — ყუმბარასავით გავარდა გამყინავი შეძახილი სუფრაზე და თვალის დახამხამებაში ერთმანეთში აირია ყველაფერი.

— გზები შეჰკარით!

— ჩქარა მდევარი! — დუქმორეული გაჰყვიროდა მილიციის უფროსი ნოე გვაზავა, მაგრამ გვიანია იყო. წელში მოხრილი ბაიოსანი, რომელსაც ასე გაფაციცებით დაეძებდნენ, ხვიხუვებით უკვე სოფლის ბოლოს გასულიყო და ფეხმარდად მიუყვებოდა კოდორისაკენ მიმავალ შელმართს...

„ეუნაპეტი სიბნელე იდგა“ ისევ ქინქლღლავდა.

ხანგამოშვებით სუსხიანი ზენა დაქროლებდა და ძვალ-რბილში ატანდა სიცივე.

საოცარია, წინდაწინ შემუშავებული გეგმის მიხედვით რა ზუსტად წარიმართა ყველაფერი. ქუთაისიდან ვითომდა მოხეტიალე მეარღნეებად ჩამოსული ამხანაგები მოხერხებულად დაეხმარნენ აბაშის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრებს.

ჯერ იყო და „სპარტაკის“ საგუბერნიო ბიუროდან მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუქციები და სხვადასხვა არალეგალური ლიტერატურა ჩამოიტანეს, მერე მეგობნიას დუქანში ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეს და არღანზე დაკვრით წინდაწინ დათქმული ნიშანი მისცეს ვერა კიზირიას მოქეიფეთა დარბაზში პროკლამაციების შესაყრელად...

საფრთხეს გარიდებული ქალიშვილი ახლა უკვე მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა ლაფიან შარაზე. გზის პირას ტანაყრილი ხეები გაუთავებლად ჩურჩულებდნენ რაღაცა იდუმალს. სადღაც ხრინწიანი ხმით ყიოდა აბეზარი მამალი და წალმის ღობეებს წინა თათებით ეტოტებოდნენ მგზავრის ფეხის ხმით გაოგებული ძაღლები...

საწყალი დედა, ჭაღარა და ჯანგატეხილი ქალი, ალბათ ისევ ჭიშკართან დგას და მოუთმენლად მოელის თავის გოგონას.

ორი რევოლუციონერი ვაჟკაცი გაზარდა დედამ და ორივე შვილი მენშევიკებმა მოსტაცეს. ქალიშვილებსღა შესცქეროდა იმედის თვალით სვედაშეკრული ქალი, მაგრამ თექვსმეტი წლისა არც იყო ვერა, როცა თავისი ძმებივით ხიფათით აღსავსე გზებით სიარული ირჩია და „სპარტაკის“ ორგანიზაციაში შესვლის მტკიცე გადაწყვეტილება გაანდო მშობელს.

გულმოდგინე გამოცდის შემდეგ ვერა კიზირია აბაშის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრად მიიღეს. ამ დღიდან დაიწყო კომკავშირელი ქალიშვილის თავდადებული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის.

ქარსა და წვიმაში, თოვლსა და სიცხეში ვერა მეკავშირედ დადის დასავლეთ საქართველოს რაიონებში და „სპარტაკის“ ორგანიზაციებისათვის პარტიის სხვადასხვა დავალებები ჩაქვს. იგი შეუნელებელ აგიტაციას ეწევა მოსახლეობაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, მოხერხებულად ავრცელებს პროკლამაციებს, კონსპირაციულ ბინებში საიმედოდ მალავს დევნილ ბოლშევიკებს.

ვერა კიზირია მალე აბაშის „სპარტაკის“ ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის წევრად აირჩიეს. მისი ხელმძღვანელობით სოფელ კოდორში შეიქმნა მოწინავე ახალგაზრდობის უჯრედი, რომელიც უნარიანად ასრულებდა რევოლუციურ დავალებებს...

ახლაც კოდრისაკენ მიდიოდა სიცივისაგან აკანკალებული ვერა და ფიქრებში გართული გასცქეროდა სიბნელეში თეთრად მოკიაფე გზას.

ამაღამ რამდენიმე საათით მაინც უნდა მოასწროს დასვენება, რომ გათოშილი სხეული და დამსკდარი ფიქრები გაუყუჩდეს. გამთენიის ხანს კი ისევ აბაშაში ჩასვლაა საჭირო, სადაც „სპარტაკის“ ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის სხდომაა მოწვეული.

მაგრამ მეორე დღეს კომიტეტის სხდომა აღარ შემდგარა. ვერა კიზირიას გზაზევე აცნობეს მეგობრებმა, რომ გრიგოლის სახლს ალყა შემოარტყა მილიციამ.

ერთი კვირა აწამებდნენ მენშევიკები დაპატიმრებულ კომკავშირელებს: რაიონული კომიტეტის მდივანს ვიქტორ კაჭარავას, გიორგი ფრანგიშვილსა და სხვებს. შიმშილითა და წამებით აიძულებდნენ გაეცათ იმ ბოლშევიკთა ადგილსამყოფელი, რომლებიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდნენ კომკავშირელებს.

ნახევრადჩაბნელებულ საკანში რევოლვერით ხელში დაკითხვას აწარმოებდა ჩასუქებული ოფიცერი და თან ნერვიულად კვნეტდა ინგლისურ სიგარას.

— დაასახელეთ თქვენი ორგანიზაციის წევრები, მითხარით ვინ გაწვდიდათ პროკლამაციებს, გესმით, არამზადებო, თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ მითხარით-მეთქი ყველაფერი...

— დახვრიტეთ!.. — ისტერიულად შეჰყვირა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ოფიცერმა და ახრჩოლებული სიგარა გაბრაზებით ისროლა კუთხეში.

თავისი ხელით გაათხრევინეს საფლავი წამებისაგან მისუსტებულ კომკავშირელებს და მაშინ, როცა შემართული თოფების ლულებში სიკვდილს ჩახედეს ახალგაზრდებმა, ხელგადახვეულებმა „ინტერნაციონალის“ სიმღერა წამოიწყეს.

არა, ამ ადამიანებს სიკვდილის მუქარით ვერ დააშინებ! ისევ შიმშილითა და წამებით უნდა გატეხო, ცოტაოდენი საიდუმლო რომ მაინც დასტყუო.

მაგრამ სულ ცუდუბრალოდ იტყუებდა თავს განწირული მთავრობის უბადრუკი ოფიცერი. ნესტიანი სარდაფისაკენ ისევ ამაყად თავაწეული მიაბიჯებდნენ კომკავშირელები და მათს გამოხედვაში შეუდრეკელი სიმტკიცე და გამარჯვების ურყევი რწმენა იხატებოდა.

დაე დახვრიტონ ისინი. განა ამით შეაჩერებენ მოახლოებულ განთიადს? პარტიის საიმედო ღასაყრდენი — კომკავშირი საქართველოს ყველა რაიონში დღითიდღე უფრო მძლავრად ზლის თავის რევოლუციურ საქმიანობას! დღითიდღე უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშრომელები ბოლშევიკების გარშემო.

ირანახული გაზაფხულის მაუწყებელი დღეები უკვე კარზეა მომდგარი. ჩრდილოეთის ციდან საცაა განთიადის მახარობელი ცისარტყელა ამოენთება.

მძიმე-მძიმედ მიაბიჯებს ხელჯოხზე დაყრდნობილი ჭარმაგი მოხუცი. ოცდაათ წელზე მეტია ამ კუთხიდან წავიდა იგი და წელსაც არ გააცდენს, რომ ერთხელ მაინც არ ჩამოაკითხოს თავის სამშობლო მხარეს.

ჯერ მეგობრებსა და მოკეთეებს მოინახულებს ხოლმე, წვრილ-წვრილად გამოჰკითხავს აქაურ ამბებს, მერე კი აბა რა გული გაუძლებს ყვავილებით არ შეამკოს აბაშის ცენტრალურ პარკში ქოჩორა ხეებით დაჩრდილული საფლავი.

ამ სამარეში კომკავშირში აღზრდილი სამი სახელოვანი მეგობარი წევს ერთმანეთის მხარდამხარ.

თავდახრილი დასცქერის აბაშის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ რაიონული კომიტეტის ყოფილი მდივანი ვიქტორ კაჭარავა ვერა კიზირიას, ფიდია ფრანგიშვილისა და დავით კაჭარავას საფლავს. დასცქერის, და მწუხარებასთან ერთად იამაყის გრძნობითაც ევსება გული.

არა, ათასობით სხვა მებრძოლებთან ერთად უკვალოდ არ დაკარგულა ამ შეუდრეკელი ადამიანების თავგანწირული ბრძოლა. სიხარულისა და ბედნიერების ნათელი მზე დაჰბარის ახლა მათს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს.

და სამარადისო ხსოვნისა და პატივისცემის ნიშნად აბაშის მშრომელები კომკავშირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ამ საძმო საფლავზე ლამაზ-ლამაზი ჩოქურთმებითა და ბარელიეფით დამშვენებულ ძეგლს აღმართავენ.

ო. დემეტრაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია ფინეთს ჩავიდა

ჰელსინკი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფინეთის კომუნისტური პარტიის ყოველ-სების მე-40 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კარელიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ლუბენიკოვი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ა. აალტონენი, ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. მალმბერგი, მ. სუვანტო, პ. კოსკინენი. დელეგაციას აგრეთვე შეხვდა სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

დაძაბული მდგომარეობა ვენესუელაში

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებისა და პრესის ცნობებიდან ჩანს, ვენესუელაში კვლავ შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა.

ცნობილია, რომ მხოლოდ ერთი თვის წინათ იქ გამოაშკარავდა და ხალხის გასების მხარდაჭერით ლიკვიდირებულ იქნა მხედრიონის შეთქმულება, რომელსაც მეთაურობდა ყოფილი თავდაცვის მინისტრი კასტრო ლეონი. შეთქმულების ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ ჩაეფუშათ საყოველთაო არჩევნები, რაც ვენესუელაში მზადდება და აღედგინათ სამხედრო-დიქტატორული რეჟიმი.

ახლა პრესა იუწყება, რომ ყოფილი დიქტატორი პერეს ხიმენესი, რომელმაც ვენესუელიდან განდევნის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიკალათა, გარედან ამზადებს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებას. შეთქმულნი არალეგალურად გადაჰყავთ ვენესუელაში დომინგოს რესპუბლიკით. როგორც იუწყებიან, ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს სათავეში უდგას პოლიციის ბრიგადის ყოფილი მეთაური ულისეს ორტეგა, რომელიც ვენესუელიდან განდევნილია დიქტატურის დამხობის შემდეგ.

იუწყება რა, რომ მზადდება შეთქმულება, ვენესუელის პრესა პირდაპირ აღნიშნავს, რომ შეთქმულების ინიციატორები არიან ამერიკის ნავთობის მონოპოლიები, რომელნიც უდიდეს მოგებას იღებენ ვენესუელაში და ისწრაფვიან ყოველი საშუალებით შეინარჩუნონ ეს მოგება. სწორედ ეს კომპანიები, წერს გაზეთი „ელ ნასიონალი“, დიქტატურას პერიოდში ვენესუელის მმართველ კლასებთან თანამგზრობრობით ახორციელებდნენ ძარცვისა და ძალადობის პოლიტიკას და ახლა სურთ განაგრძონ იგი.

მთავრობის საწინააღმდეგო ახალი შეთქმულების საფრთხესთან დაკავშირებით ვენესუელის პოლიტიკურმა პარტიებმა მოაწყეს თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების სხდომები, რომლებზეც მოუწოდეს ხალხის მასებს გააძლიერონ სიფხიზლე. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ვენესუელელმა სტუდენტებმა კვლავ გადაწყვიტეს შექმნან, ისევე როგორც დიქტატურის დამხობის დღეებში, სპეციალური საპატრულო რაზმები.

მოსალოდნელი შეთქმულების საკითხი განიხილა აგრეთვე ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პომპეიო მარკესმა პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა: არის საფრთხე, რომ საშეთქმულებო მაქინაციები მოაწყონ ვენესუელის ახალნელი მთავრობის წინააღმდეგ ამერიკის მონოპოლიებთან დაკავშირებულმა წრეებმა. პლენუმმა მოუწოდა პარტიის წევრებსა და მთელ ვენესუელელ ხალხს მტკიცედ დაიცვან დემოკრატიული მონაპოვარნი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის ინგლისიუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ზელევიზიის წარმომადგენლისადმი

ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის ბერლინში მყოფი დელეგაციის ხელმძღვანელმა მრეწველობის მინისტრმა ა. სიდკიმ ინტერვიუ მისცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის წარმომადგენელს.

ა. სიდკიმ ხაზგასმით აღნიშნა ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობის გაფართოების დიდი შესაძლებლობანი.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, ა. სიდკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სგანგებო სპეციალური სესიის რეზოლუცია იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ამერიკისა და ინგლისის ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან.

ჯარების გაყვანა, ხაზი გაუსვა ა. სიდკიმ, სამართლიანობის აღდგენა იქნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანას ლიბანიდან და იორდანიიდან, აღნიშნა მან, იმ პრინციპის დადასტურებაა, რომ არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს ძალა მეორის მიმართ. ა. სიდკიმ აღნიშნა, რომ მსოფლიოს ხალხთა სოლიდარობა მძლავრი ფაქტორი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო ამ პრინციპის განხორციელებას და არაბ ხალხთა ბრძოლის წარმატებას.

სლოვაკიის სახალხო აჯანყების მე-14 წლისთავი

პრაღა, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს სრულდება სლოვაკიის სახალხო აჯანყების მე-14 წლისთავი. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სლოვაკიის ქალაქებსა და სოფლებში მანიფესტაციები გაიმართა ამ თარიღის გამო. ათასობით მშრომელმა ცხადყო თავისი ერთგულება სახალხო აჯანყების ანდერძისადმი და ურყევი ნება — დაამთავროს სოციალიზმის მშენებლობა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

წლისთავის წინ კოშიცეში გაიხსნა სლოვაკიის სახალხო აჯანყების გმირის მაიორ ლუდოვიკ კუკორელის — ჩეხოსლოვაკიის ჩაპაევის სახელობის 1-ლი პარტიზანული ბრიგადის მეთაურის ბიუსტი.

გაზეთი „პრაცე“ სლოვაკიის სახალხო აჯანყების მე-14 წლისთავისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში წერს: „მას შემდეგ 14 წელი გავიდა. ეს იყო ჩეხოსლოვაკიის გიგანტური რევოლუციური გარდაქმნების წლები. განვლილ ხანში სლოვაკიამ უმაგალითო წარმატებანი მოიპოვა. მდინარე ვიცსა და ოლმოსავლეთ სლოვაკიის დაბლობს შუა აშენდა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი 200-ზე მეტი ქარხანა. მრეწველობის განვითარებამ ყოთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე. სლოვაკია, რომელიც ოდესღაც ჩეხი ბურჟუაზიის კოლონია, იაფი მუშახელის წყარო იყო, გადაიქცა მზარეულ, სადაც დიდად განვითარებული თანამედროვე მრეწველობა, რომლის სიმძლავრე წლითიწლობით მატულობს. 1965 წელს სლოვაკიის მრეწველობა იმდენ პროდუქციას გამოუშვებს, რამდენსაც ომამდე მთელი რესპუბლიკის მრეწველობა უშვებდა. სულ მთლად შეიცვალა სლოვაკიის სოფლის ცხოვრება. ამჟამად სოციალისტური სექტორის ხელშია სლოვაკიის მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 64,1 პროცენტი.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ წლების განმავლობაში განმტკიცდა ჩეხი და სლოვაკი ხალხების მეგობრობა. მათ შორის ნამდვილი თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დამყარდა.

გენეტიკოსთა საერთაშორისო კონგრესმა დაამთავრა მუშაობა

ოტავა, 29 აგვისტო. (საკდესი). მონრეალში მუშაობა დაამთავრა გენეტიკოსთა X საერთაშორისო კონგრესმა. კონგრესში მონაწილეობა მიიღეს 47 ქვეყნის მეცნიერებმა, მათ შორის საბჭოთა გენეტიკოსების დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ნ. სტოლეტოვი. გაუზიარა რა თავისი შთაბეჭდილებანი კონგრესის მუშაობის შესახებ, ვ. ნ. სტოლეტოვმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ გენეტიკოსთა X საერთაშორისო კონგრესმა მიიპყრო კანადის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღება, აგრეთვე ფართო გამოხმაურება გამოიწვია მთელი მსოფლიოს მეცნიერთა წრეებში. ეს იმით აიხსნება, რომ ახლანდელ ატომის ენერგიის ხანაში ადამიანის, მცენარეთა და ცხოველთა მემკვიდრეობითობაზე სხვადასხვა სახეობის რადიაციის გავლენის საკითხები მთელ კაცობრიობას აინტერესებს. ეს საკითხები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მცენარეების, კერძოდ სიმინდის, სელექციისა და მეთესლეობის პრობლემები კონგრესის ყურადღების ცენტრში იყო.

საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრმა კონგრესზე სამეცნიერო მოხსენებანი გააკეთა თავიანთი კვლევითი მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებებში შეეხნენ თეორიული გენეტიკის, ცხოველებზე ატომური რადიაციის ზემოქმედების, მემკვიდრეობითობაზე სისხლის გადასხმის გავლენის საკითხებს, ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა მცენარეთა სელექციის საკითხებს. საბჭოთა მეცნიერების მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია კონგრესის მონაწილეებში.

კონგრესის მუშაობის პროცესში საბჭოთა მეცნიერები ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ სხვა ქვეყნების მეცნიერებთან და შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარეს, რომლებიც უეჭველია ხელს შეუწყობენ გენეტიკოსთა წარმატებითს საერთაშორისო თანამშრომლობას.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა ყველა ქვეყნის მთავრობებს არ დაუშვან, რომ ამაღლდეს ატომური რადიაციის დონე ატომის ენერგიის სამხედრო, სამრეწველო და სამედიცინო გამოყენების შედეგად.

საბჭოთა დელეგაცია კანადის მეცნიერთა მიწვევით ინახულებს მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და კანადის უნივერსიტეტებს.

არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის განცხადება

კაირო, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნიუ-იორკიდან კაიროში დაბრუნდა არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი აბდელ ჰალექ ჰასუნა. მენის საააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჰასუნამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა ქვეყნების ხალხების ძირითადი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ მიაღწიონ ინგლის-ამერიკის ჯარების გაყვანას არაბთა მიწაწყლიდან.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ, — განაცხადა ჰასუნამ, — მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის არაბ ხალხებს უნდა მიენიჭოთ უფლება თვითონ გადაჭრან დამოუკიდებლად თავიანთი საშინაო პრობლემები“.

ქალაქის ერთი გაღის შესახებ



თბილისში, საბურთალოზე, ლიხის ქუჩას რომ გაჰყვეთ, მის მარცხენა მხარეს ღობის შიგნით შენიშნავთ ალვისხეების მწკრივს. ჭიშკარზე წარწერაა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო ხეხილ-ხანერგის სადედე ბაღი“. შიგნით რომ შეხვიდეთ, აღმოჩნდებით საუცხოო ადგილას, სადაც სასიამოვნო ჩრდილსა და სიგრილეს ქმნის ვაზის ფართო ტალავერი, თითას, რქაწითელს, ჩინურის და საქიშმიშე ყურძნის მტევნებით დახუნძული ხეივნები, ბილიკები მცენარეთა ცოცხალი კედლებით.

ეს ბაღი ოცდახუთიოდე წლის წინათ გაუშენებია მებაღე-მოყვარულს მირიან ბუკიას. მას ამ პატარა ტერიტორიაზე შეუქმნია საქართველოში ცნობილი ხეხილისა და ვაზის ჯიშების შესანიშნავი კოლექცია.

ბაღში მრავალი ჯიშის ხეხილია: ხიდისთავური ვარდისფერი, ხიდისთავური თეთრი და ხიდისთავური ყვითელი ატამი, მსხალი ბერე ბოსკი, სენ-ჟერმენი, ვაშლი ყვითელი ბელფლორი, კანადური რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი, კეხურა, მრავალი სახის ქლიავი, გარგარი, ბროწეული, ალუჩა; თეთრი, შავი, ღვინა და მწვანე ლეღვი, სუბტროპიკული ხურმა, თხელნაჭუჭა ნუში, 15 ჯიშის ვაზი და სხვ.

ბაღს მეტად ლამაზი მდებარეობა აქვს. ათვალიერებთ მას და ყოველ კუთხეში სხვადასხვაგვარ სილამაზეს ხედავთ. აგერ ერთი ვაზის რქა გარგარის ტოტებში გახლართულა, საიდანაც მორცხვად, თითქოს იმალებაო, იცქირებიან ყურძნის გრძელი მტევნები, მეორე მხარეს ალვისხეებს შემოხვევია „იზაბელა“ და ეს დასავლეთ საქართველოს მკვიდრი თითქოს გაკვირვებით გადმოყურებს „აღმოსავლეთელ“ მეგობრებს. გლედიჩია ტრიპიკული ლიანებივით აცოცებულა ელდარის ფიქვზე და თითქოს ყელს მოხვევიაო, ძირს დაუხვევინებია კენწერო. იქით კი უზარმაზარ ტირიფს თავისი წვრილი, მოქნილი ტოტები მზრუნველად გადაუხურავს და სიცხისაგან იფარავს მომხიბლავად გაშლილ ვარდებს. ტერასებზე გაშენებულია ხეხილი. მის ქვეშ გაზაფხულზე ჰყვავის ხურნელოვანი სუმბული, ია, ტულიპი, ნარგიზი. აქ არის კვიპაროსი, ტუია, ტროპიკული ქვეყნების მკვიდრი — ბანანი, ინდური დაფნა, კოწახური, შავი მოცხარი, ოლეანდრი, ჩინური ვარდი, კამელია, პალმა, ლიმონი, მანდარინი...

გასულ წლებში ამ ბაღში კოლმეურნეობებისათვის მზადდებოდა სანამყენე მასალა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონისათვის იგზავნებოდა ხილის მაღალხარისხოვანი ექსპონატები. ამჟამად იგი აღარ ასრულებს სადედე ბაღის ფუნქციას, მაგრამ ეს მაინც ვერ ამცირებს მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. იგი ხომ თითქმის ერთი ჰექტარი მწვანე მასივია და ქალაქის ულამაზესი კუთხე. ასეთი გამწვანებული ზონების შესაქმნელად უამრავი თანხა იხარჯება ჩვენს ქალაქში.

ლისის ქუჩის გაფართოებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო კარგ საქმეს გააკეთებს თუ ამ ბაღს საყვავილე მეურნეობად ან პარკად გადაქცევს, გაუკეთებს დეკორაციულ ღობეს, რაც გამოაჩენს მოეულს მის ხილამაზეს. ეს იქნება შესანიშნავი საჩუქარი დედაქალაქის 1500 წლისთავისათვის.

ე. მამალაძე.

სურათზე: ბაღის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო გ. გოგობიასი.

დამთავრდა პროფკავშირთა მეექვსე სპარტაკიადა

მოსკოვი, 30 აგვისტო. (ტელეფონით, სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა პროფკავშირთა მეექვსე სპარტაკიადის უკანასკნელი შეხვედრები. საღამოს ვ. ლენინის სახელობის სტადიონის სპორტის სასახლეში მოეწყო სპარტაკიადის შემაჯამებელი საღამო. სპარტაკიადის შეჯიბრების შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა მთავარმა მსაჯმა ვ. ბოჩინგინმა. იგი ამბობს, რომ მიმდინარე სასპორტო სეზონის ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 42 ეროვნების 4.000-მდე წარმომადგენელმა, რომელთა შორის იყო 25 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 674 სპორტის ოსტატი. დამყარებულია პროფკავშირთა 5 საკავშირო და 1 მსოფლიო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ მარტველოსპორტში ნაჩვენები იქნა 104 სპორტის ოსტატის ნორმა, აქედან 64 ველმბრბოლმა პირველად მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

საერთო პირველი გუნდური ადგილი მოიპოვეს მოსკოველებმა, მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს უკრაინისა და რსფსრ გუნდებმა. შემდეგ არიან ლენინგრადის, საქართველოს, ლატვიის, უზბეკეთის, ლიტვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის გუნდები.

• • •

საქართველოს სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში 7 ოქროს, 5 ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ფულისა და ნივთების მეორე ლატარია რუსეთის სფსრ-ში

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ 1958 წლის 1 სექტემბრიდან მოეწყოს ფულისა და ნივთების მეორე ლატარია და დამტკიცა ლატარიის მოწყობის პირობები. ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის საერთო თანხა განსაზღვრულია 1.000.000.000 მანეთის ოდენობით, ამ თანხისა გამოვა ხუთ-ხუთმანეთიანი ბილეთები. მოგებათა საერთო თანხა შეადგენს 400.000.000 მანეთს.

ტირაჟში გათამაშდება 14.000.000 მოგება, მათ შორის 392.275.000 მანეთის 13.945.000 ნივთის მოგება და 7.725.000 მანეთის 55.000 ფულადი მოგება. ნივთების მოგებათა შორის არის ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, თითობინიანი სახლები, მოტოციკლები, რადიომიმღებები, ფოტოაპარატები, საათები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა ფასიანი ნივთები.

ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება 1958 წლის 20-27 დეკემბერს ქალაქ ლენინგრადში. (საკდესი).

თბილისის თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის — სიხარულის ძიებაში (დღისით), სამსახურიდან გადამდგარი (საღამოს), **ფილარმონიის საზაფხულო** — აჩუქეთ შეყვარებულებს ტულიპი (დღისით და საღამოს), ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი.

კინოთეატრებში

ოქტომბერი (დღისით), **ამირანი** (საზამთრო, დღისით), **ფილარმონიის ბაღი, ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — ოქროს სიმფონია, **ოქტომბერი** (საღამოს), **ამირანი** (საზამთრო, საღამოს), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო და საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — ველოსიპედისტის სიკვდილი, **თბილისი** — ჩემი საბრალო, **საყვარელი დედა, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მისი დრო მოვა, **ისანი** (საზაფხულო) — პოლიციელები და ქურდები, **ვაკის პარკი** — მექსიკის სერენადა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — მისამართი უცნობია, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო), **ცენტრალური კულტურის სახლი** (საზაფხულო) — სიმღერა პირველი სიყვარულისა.

ტელეგადაცემათა პროგრამა

31 აგვისტოსათვის

12.00 — გადაცემა ბავშვებისათვის „სალამი, მშობლიურო სკოლავ“, 12.20 — უფროსკლასელთათვის — კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალის მეექვსე დღე — მხატვრული ფილმი—„ორლეონოკი“, 20.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მებრძოლებისათვის — ციკლიდან „რეპუბლიკა, სადაც გადიხარ სამხედრო სამსახურს“, 20.20 — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენი ახალგაზრდობა № 8“, 21.00 — ბერნარდ შოუ — „პიგმალიონი“ (მოსკოვის მცირე თეატრის ეკრანიზებული სპექტაკლი, გადაღებული ტელეხედვის ცენტრალური სტუდიის დაკვეთით.

1 სექტემბრისათვის

20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — სატესტრადო კონცერტი, 20.40 — მხატვრული ფილმი „დები“ (პირველი სერია).

მეუღლე ქეთევან ღოღობერიძე, შვილები ელენე და გურამ, და თამარ, ძმა გიორგი კიკნაძეები ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ბაგრატ დავითის-ძე კიკნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VIII, 1-IX, 8 ს. გამოსვენება 2-IX, 6 ს. ტეკნიკის ქუჩა № 1.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმის თანამშრომლები იუწყებიან

გაბრიელ სოფრომის-ძე მურაცხვალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მალაიის ფედერაცია დღეს

ერთი წლის წინათ, 1957 წლის 31 აგვისტოს, მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთ კიდეზე, რომელიც დაახლოებით 170 წლის განმავლობაში ბრიტანეთის უღელქვეშ იმყოფებოდა, წარმოიშვა ახალი სუვერენული სახელმწიფო — მალაიის ფედერაცია. მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები მხურვალედ მიესალმნენ ამ ამბავს. ომის შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაში ინგლისელი იმპერიალისტები ამაოდ ცდილობდნენ იარაღის ძალით ჩაეხშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მალაიაში. ბოლოს და ბოლოს კოლონიზატორები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ ექვსმილიონიანი მალაიელი ხალხის მოთხოვნა მისი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მალაიის ფედერაცია განსაკუთრებით რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს, რომ შეეკვეცათ მალაიის დამოუკიდებლობა. მათ ხელოვნურად ჩამოაშორეს მალაიის ძირითად ნაწილს კუნძული სინგაპური, რომელიც დღემდე რჩება ინგლისის კოლონიად და უდიდეს სამხედრო-საზღვაო ბაზად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მალაიის ფედერაციის 1957 წლის ოქტომბერში თავს მოახვია სამხედრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მალაიის ტერიტორიაზე უცხოელთა შეიარაღებული ძალების განლაგებას. ეს ჯარები განაგრძობენ კოლონიურ ომს მალაიელი პატრიოტი პარტიზანების წინააღმდეგ, რომლებიც ჯუნგლებს შეეფარნენ და კვლავ ეწევიან შეიარაღებულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. აჯანყებულთა წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს სათავეში უდგას ინგლისელი გენერალი პესელსი.

ინგლისელი კოლონიზატორები კონტროლს უწევენ მალაიის არმიას, ფლოტსა და სამხედრო-საჰაერო ძალებს და ყოველნაირად უშლიან ხელს ამ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციას. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ბანგკოკის გაზეთი „დეილი მეილი“, მალაიელ პარტიზანთა წინააღმდეგ ომის ნამდვილი ორგანიზატორია ინგლისი, რომელსაც ეშინია, რომ აჯანყებულთა წარმატებანი „გადამწყვეტად გამოუთხრიან ძირს ინგლისის პოზიციებს მალაიაში“. მალაიის ფედერაციაში საგანგებო მდგომარეობის შენარჩუნება შესაძლებლობას აძლევს ინგლისის მმართველ წრეებს განაგრძონ ამ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

მალაიის პატრიოტული საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს აცხადებს უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ. უცხოთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვს მალაიის ბევრი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის მალაიის მუშათა პარტია, სოციალისტური სახალხო ფრონტის შემადგენლობაში შემავალი სახალხო-პროგრესული პარტია და სახალხო პარტია, ქარხნის მუშების სრულიად მალაიის პროფკავშირი, მალაიის პროფკავშირთა გენერალური საბჭო და მალაიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი.

ფედერაციის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნა ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა ქვეყნის ეკონომიური განვითარების გზაზე.

თავისი ბუნებრივი სიმდიდრით მალაია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფოა. ამ შედარებით პატარა ქვეყნის წილად მოდის ნატურალური კაუჩუკის მსოფლიო წარმოების მესამედზე მეტი. მალაიის კაუჩუკის პლანტაციებში უმუშაობს 320 ათასამდე მუშა, სულ კი კაუჩუკის მრეწველობაზე დამოკიდებულია 2 მილიონამდე კაცი, ე. ი. ქვეყნის მოსახლეობის მესამედი.

მალაიის ეკონომიკის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგია კალის მომპოვებელი მრეწველობა. მალაიის წილად მოდის კაპიტალისტურ ქვეყნებში კალის მადნის მარაგის დაახლოებით 30 პროცენტი. ათი წლის განმავლობაში (1947-1957 წწ.) მალაიაზე მოდის კაპიტალისტურ ქვეყნებში კალის მთელი გამოდნობის 38 პროცენტი. მაგრამ ეკონომიკის ამ დარგშიც მონოპოლიური პოზიციები უცხოეთის, უმთავრესად ინგლისის კომპანიებს უჭირავთ. ისინი კონტროლს უწევენ მალაიაში კალის მადნის მოპოვების დაახლოებით 57 პროცენტს.

მალაიის ბუნებრივი სიმდიდრე ინგლისელ კოლონიზატორთა ზღაპრული გამდიდრების წყარო იყო. მარტო ომისშემდგომი 6 წლის განმავლობაში ინგლისმა მალაიიდან ამოქაჩა 1.713 მილიონი დოლარი, რაც ხუთჯერ. აღემატება ინგლისის მთელ იმ კაპიტალს, რომელიც დაბანდებულია მალაიური კაუჩუკის წარმოებაში, კალის მრეწველობისა და მალაიის მოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაში. ამ უდიდეს მოგებას კოლონიზატორები იღებდნენ მშრომელთა საშინელი ექსპლოატაციის გზით.

მალაიის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მისი მთავრობა გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ეროვნული მეწარმეობის დასაცავად. მაგრამ ეროვნულ კაპიტალს ჯერ კიდევ სუსტი პოზიციები უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში. მის წილად მოდის მხოლოდ 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი კაპიტალდაბანდებანი, მაშინ როცა ინგლისის კაპიტალი კაუჩუკის წარმოებასა და კალის მოპოვებაში 150 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება.

ამ პირობებში მარტო სახელმწიფოებრივ დახმარებას შეუძლია განამტკიცოს ეროვნული მეწარმეობის პოზიციები. მიმდინარე წლის ივნისში ფედერაციის ვაჭრობისა და რეწველობის მინისტრმა ტან სიუ სინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამიერიდან მალაიის მთავრობა კაპიტალის ახალი ინვესტიციების ნებართვას აღარ მისცემს უცხოეთის იმ კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ადგილობრივ საწარმოებს.

1957 წლის დამდეგს მალაიაში გამოქვეყნდა ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დაფინანსებას 1 მილიარდ 358 მილიონი მალაიური დოლარი საერთო თანხით. მაგრამ ამ პროგრამის განხორციელება წაწყდა მეტად არახელსაყრელ კონიუნქტურას მსოფლიო ბაზარზე.

1947-1957 წლებში შეერთებულ შტატებს მალაიის კალის დაახლოებით 55 პროცენტი გაჰქონდათ და ინგლისის შემდეგ მალაიის კაუჩუკის მეორე მომხმარებელი იყვნენ. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში და კაპიტალისტური სამყაროს სხვა წამყვან ქვეყნებში მზარდმა ეკონომიურმა კრიზისმა ძლიერ დაზიანა მალაიის ფედერაციის საექსპორტო ვაჭრობა. მარტო 1958 წლის I კვარტალში მალაიის სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი კაუჩუკისა და კალის საექსპორტო ბაჟებისაგან დაეცა შესაბამისად 45 და 48 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მიმდინარე წლის მაისსა და ივნისში მალაიაში აღებულ იქნა კაუჩუკის ყველაზე დაბალი მოსავალი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. იკვეცება კალის მომპოვებელი მრეწველობა.

ამას წინათ ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წელს მთავრობა ვერ შეძლებს თავისი წყაროებიდან წაახალისოს რაიმე სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, თუნდაც რომ ეს გათვალისწინებული იყოს ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი პროგრამით.

ამ პირობებში მალაიის ფედერაციის საქმიან წრეებში იზრდება იმის რწმენა, რომ საჭიროა გაფართოვდეს საგაჭრო ურთიერთობა სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან, რომლებსაც შეუძლიათ დიდი რაოდენობით იყიდონ მალაიის ექსპორტის ტრადიციული საქონელი და მიჰყიდონ მას მოწყობილობა ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის.

უკანასკნელ ხანს დასავლეთის სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ ჩაითრიონ მალაია სეატოს აგრესიულ ბლოკში. „ჩვენ ყოველივე შესაძლებელი უნდა გავაკეთოთ, — განაცხადა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ლაურენს კუტერმა, — იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ბანდუნგის ქვეყნების და განსაკუთრებით ინდოეთის მხრივ მალაიაზე გამანეიტრალებელ გავლენას, და ამავე დროს განვაგრძოთ ჩვენი ღონისძიებანი მალაიის ჩასაბმელად სეატოში“. მაგრამ მალაიის ფედერაცია უარს ამბობს გახდეს სეატოს თანამონაწილე. „მალაია, — ხაზგასმით აღნიშნა ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ჰუსეინ აბდულ რაზაკმა, — არასოდეს არ დათანხმდება გახდეს სხვა ქვეყნის ატომური ბაზა“.

ამას წინათ მალაიის მთავრობა პრესაში გამოვიდა განცხადებებით, რომლებშიც გამოთქმულია მისი სურვილი დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა „ყველა სახელმწიფოსთან“ და განავითაროს „თავისუფალი ვაჭრობა“. ეჭვს გარეშეა, რომ ამ განზრახვების განხორციელება ხელს შეუწყობს მალაიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას და დაეხმარება მას ახლანდელ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვაში.